ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6707629

ნომერი: AR1992915

თარიღი : 02.10.2023

გაცემის თარიღი : 13.10.2023

გაცნობის თარიღი : 13.10.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ზაჰესი , ქუჩა მშვიდობის , N 104 ; ქალაქი თბილისი , დასახლება ზაჰესი , ქუჩა მშვილობა , N 104-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბაადურ ჯინჭარაძე პ/ნ 01024050001
- თბილისი ლიხაურის ჩიხი N 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. ობიექტის ფუნქციური დანიშნულება -> .ფუნქციური დანიშნულება.:
ფუნქციური დანიშნულების ველში დააკონკრეტეთ რა სახის პროდუქციისთვის არის განკუთვნილი აღნიშნული საწყობი.
2. საჭიროა დააზუსტოთ საპროექტო შენობას ექნება თუ არა არსებულ შენობასთან კონსტრუქციული კავშირი.
იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო შენობას არსებულ შენობასთან არ გააჩნია კონსტრუქციული კავშირი, საჭიროა დაცული იქნას წარმოსახვითი საზღვარი არსებულ და საპროექტო შენობებს შორის.
ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო და არსებულ შენობებს გააჩნიათ კონსტრუქციული კავშირი, საჭიროა შეიცვალოს ნომენკლატურა და ახალი მშენებლობის ნაცვლად მიუთითოთ რეკონსტრუქცია.
აღნიშნულისთვის გიაქტიურდებათ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკი.
3. წარმოადგინეთ საპროექტო შენობა-ნაგებობის ესკიზი
4. შესაბამის ველში წარმოადგინეთ ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი საპროექტო შენობა–ნაგებობის განთავსების სქემა. დაიტანეთ წარმოსახვითი მიჯნის ხაზი.
5. თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა - თბილისი ენერჯის გაზმომარაგების ქსელი და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა (ს/კ: N 01.00.627).
ასევე, საპროექტო საკადასტრო ერთეულს უახლოვდება შპს „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული ხაზობრივი ნაგებობა (ს/კ: N 72.00.662)
საჭიროა წარმოადგინოთ ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.
6. ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება ვალდებულება ,,მშენებლობის უფლების გარეშე“, საჭიროა ამოღებულ იქნას აღნიშნული შეზღუდვა.
7. წარმოდგენილ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები და წერილები, საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.